# გილოცავთ ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ოქროს იუბილეს!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 253 (4763)

1972 წ. 22 დეკემბერი, პარასკევი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## გუშინ...

მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი.

მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ბრეჟნევი.




გ. იაშვილის ნახატი.

## ჩემპიონთა გვერდით მათი ცვლაა

მოსკოვი, 20 დეკემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დღეს დიდი სპორტული დღესასწაული გაიმართა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ზეიმი გახსნეს სპორტკლუბ „ისკრის" აღსაზრდელებმა. შემდეგ გამოვიდნენ „ტყავის ბურთის", „ნეპტუნის", „მხიარული დელფინის", „მუშკეტერების" კლუბების ნორჩი სპორტსმენები. ამავე დროს ვეებერთელა კინოეკრანზე მრავალრიცხოვან მაყურებელს უჩვენებდნენ მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების, მიუნხენისა და საპოროს ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების შესანიშნავი ასპარეზობის ამსახველ ფირებს.

საბჭოთა სპორტსმენების სახელით ზეიმის სტუმრებს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი მიულოცა წყალში ხტომაში მიუნხენის ოლიმპიადის ოქროს პრიზიორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ჰ. ვასინმა.

ზეიმზე სტუმრად მოწვეულ სპორტსმენთაგან მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში ქ. იანცი (გდრ).

ის შესანიშნავი საღამო მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების სპორტსმენთა ურღვევი მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება გახლდათ.

მაყურებლები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის მ. გიგოვას (ბულგარეთი), ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის, გროზნოელი ტანმოვარჯიშის ლ. ტურიშჩევას, ფიგურულ ციგურაობაში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ო. ნეპელას (ჩეხოსლოვაკია) და სხვათა საჩვენებელ გამოსვლებს.

პროგრამა დაასრულა სახელმწიფო ანსამბლმა „ბალეტი ყინულზე".



სურათზე: მედროშეები სპორტის სასახლეში.

ვ. ვორონინის ფოტო.

## თბილისი — ბაქო — ერევანი

ამას წინათ მოეწყო საქალაქთაშორისო სატელევიზიო შეხვედრა სპორტულ ტანვარჯიშში თბილისის, ბაქოსა და ერევნის ნაკრებ გუნდებს შორის. სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ეგნატაშვილის თასზე შეჯიბრებაში თითოეულ იარაღზე სამსამი მონაწილე გამოდიოდა. ჩათვლაში შედიოდა ორი სპორტსმენის შედეგები.

პირად ჩათვლაში იარაღების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა: ქალები. ორძელი. 1. ნ. დრონოვა — 9,55 ქულა, 2. რ. ბერიკაშვილი (ორივე — თბილისი) — 9,15, 3. ი. ოგურცოვა (ბაქო) — 9,0. თავისუფალი ვარჯიში. 1. დრონოვა — 9,6, 2. მ. მონიავა (თბილისი) — 9,05 3. ს. სამოხინა (ბაქო) — 9,05. ვაჟები. რგოლები. 1. ნ. გრიგორიანი (ერევანი) — 9,3, 2. ბ. შამუგია (თბილისი) — 9,25, 3. ე. ტერმელიქსეტიანი (ერევანი) — 9,15. ორძელი. 1. ე. კევლიშვილი — 9,45, 2. გ. ლოლაძე — 9,15, 3. ე. თარგამაძე (სამივე — თბილისი) — 9,1. ღერძი. 1. შამუგია — 9,45, 2. გ. ბახია — 9,25, 3. ლოლაძე (სამივე — თბილისი) — 9,1.

სპეციალურმა ჟიურიმ ღერძზე ორიგინალური და რთული ელემენტების შესრულებისთვის ბ. შამუგიას თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპეციალური პრიზი გადასცა.

ამ საინტერესო ასპარეზობის თაოსანი და ორგანიზატორი თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი გახლდათ.

ი. ზაზაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50

# მაღალი ჯილდოს პასუხად!

## „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელი

„განთიადი" საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა ნებაყოფლობითი პროფკავშირული სპორტსაზოგადოებაა, მაგრამ უკვე ბევრი კარგი საქმე გააკეთა რესპუბლიკის მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების, საქართველოს ნაკრების ღირსეული კანდიდატების აღზრდისთვის. საზოგადოება ითვლის ასეულ ათასობით წევრს, ფიზკულტურელს, ათეულ ათასობით ნიშნოსანს, თანრიგოსანს, ასობით სპორტის ოსტატსა და სპორტის ოსტატობის კანდიდატს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე „განთიადის" კოლექტივების წარმატებაში.

„განთიადს" რესპუბლიკაში ყველაზე მეტი დარბაზი, საცურაო აუზი, სპორტთამაშობათა მოედანი და სხვა ბაზა აქვს. განთიადელთა სასახელოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში პირველი სპორტული კლუბის სახელი სწორედ ამ საზოგადოების მოწინავე კოლექტივს — კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის ფიზკულტურულ ორგანიზაციას მიეკუთვნა და სიმბოლური სახელი — „გამარჯვება" ეწოდა. შერე სპორტკლუბის სახელის მოპოვებისათვის ბრძოლაში წარმატებებს მიაღწიეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, მაუდ-კამვოლის კომბინატის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის ავტოქარხნისა და სხვა კოლექტივებმა. „გამარჯვება", „კოლხიდა", „განთიადი", „ფეიქარი", „ივერია", „ფოლადი", „უშბა" რესპუბლიკის ყველა სხვა სპორტსაზოგადოებათა სპორტკლუბების ნახევარზე მეტს შეადგენენ.

ახლა სპორტკლუბის სახელისთვის კიდევ რამდენიმე საწარმო იბრძვის. ყველაზე მეტად კი ამ საქმეში თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის ფიზკულტურული ორგანიზაცია დაწინაურდა.

„განთიადის" ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებმა, ფიზკულტურელებმა, სპორტსმენებმა ბევრი რამ გააკეთეს და აკეთებენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისთვის. ცენტრალური საბჭოს ორგანიზაციების ნაყოფიერი შრომის შედეგია, რომ განთიადელებმა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების, ნიშნოსნების, თანრიგოსნების, სპორტის ოსტატების, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადების წლევანდელი გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს.

„განთიადში" სისტემატურად იზრდება რიცხვი იმ ორგანიზაციებისა, სადაც საწარმოო ტანვარჯიში სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება, მუშა-მოსამსახურენი ინტენსიურად აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

განთიადელთა ყოველწლიურ ნაყოფიერ მუშაობას ისიც ადასტურებს, რომ მან ზედიზედ მეცამეტედ მოიპოვა სსრ კავშირის პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

„განთიადის" ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ბევრჯერ დაიმსახურეს ქება რესპუბლიკის მშრომელებში გამაჯანსაღებელი და მასობრივ-ფიზკულტურული ღონისძიებების კარგად ჩატარებისთვის, სპორტის დანერგვისთვის. ამ ქებას ისინი ახალ-ახალი წარმატებებით, მათს საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების დაძლევისათვის ბრძოლით უპასუხებდნენ.

და აი, გუშინწინ „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ერთ-ერთ ახალ სპორტულ დარბაზში საზოგადოების ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების კრება გაიმართა. კრება საზეიმო იყო, ვინაიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის საზოგადოება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

კრება გახსნა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა რ. ქებაძემ. სიტყვა მიეცა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს გ. სიხარულიძეს, რომელმაც ილაპარაკა „განთიადის" ფიზკულტურელთა მიღწევებზე, სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადისთვის საქართველოს კოლექტივების მზადებაზე და ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში განთიადელთა როლზე. გ. სიხარულიძემ „განთიადის" ფიზკულტურელებს, სპორტსმენებს, მუშაკებს საიუბილეო საპატიო სიგელით დაჯილდოება მიულოცა, სიგელი „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ა. გიორგობიანს გადასცა და ახალი წარმატებები უსურვა.

საზეიმო შეკრებაზე სიტყვით გამოსულებმა — სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის ფიზკულტურის უფროსმა ინსტრუქტორმა, სპორტის ოსტატმა უ. მოსაშვილმა, „განთიადის" ძალოსნობის, ჭიდაობისა და კრივის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორმა, სპორტის ოსტატმა ე. თვალჭრელიძემ, ტანვარჯიშის სპორტსკოლის მწვრთნელმა, საპატიო სპორტის ოსტატმა ბ. აბრამიშვილმა, სსრ კავშირის ტყვიის მსროლელთა ნაკრების წევრმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ე. აბაჯიანმა და „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ა. გიორგობიანმა რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს მადლობა გადაუხადეს განთიადელთა შრომის დაფასებისა და მაღალი ჯილდოსთვის, პირობა დადეს, რომ უფრო გულმოდგინედ იმუშავებენ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისთვის.

ა. გიორგობიანმა სამადლობელ სიტყვაში ჯილდოს პასუხად ჩამოაყალიბა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ვალდებულებანი. საზოგადოება პირობას დებს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიან (1971-75 წ. წ.) გეგმას ოთხ წელიწადში შეასრულებს. როგორც გიორგობიანმა თქვა, გეგმით ხუთწლედში ფიზკულტურელთა რიცხვი 155 ათასამდე უნდა აეყვანათ, ახლა კი ივალდებულეს, რომ 1974 წლისთვის მათი რაოდენობა 156 ათასამდე გაზარდონ, გეგმით ხუთწლედში მშდ კომპლექსის 46510 ნიშნოსანი, 131305 თანრიგოსანი, 138 სპორტის ოსტატი, 7 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 32117 საზოგადოებრივი მუშაკი უნდა მოემზადებინათ, მაგრამ ყველა ამ მაჩვენებელს ვადამდე ერთი წლით ადრე გაანაღდებენ. საგრძნობლად გაიზრდება სპორტული დარბაზების, აუზების, ჩოგბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების, ფეხბურთის მინდვრების, მძლეოსნური სექტორების რიცხვი. სსრ კავშირის ხალხთა 1975 წლის სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს მოუმზადებენ 40 სპორტსმენს, სპარტაკიადაში განთიადელები მოიპოვებენ 12 ოქროს, 7 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალს; გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთა რიცხვი სამჯერ გაიზრდება, იბრძოლებენ საწარმოო ტანვარჯიშის როლის ამაღლებისა და მომეცადინეთა რიცხვის ზრდისთვის. რაც მთავარია, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საგაისო გეგმას 1973 წლის 7 ნოემბრისთვის შეასრულებენ.

გვჯერა, განთიადელები სიტყვას საქმედ აქცევენ.



ეს საჭადრაკო ამოცანა (მატი ოთხ სვლაში) ცნობილმა თბილისელმა პრობლემისტმა რ. თავარიანმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნა. მან 16 ფიგურით სიმბოლურად გამოხატა 15 მოძმე რესპუბლიკის დიადი დღესასწაულის თარიღი.

# ექვსი პრიზიორი

ამას წინათ ელექტროსტალში ჩატარდა ჭაბუკ და ახალგაზრდა ძიუდოისტთა საკავშირო პირადი პირველობა, რომელშიც გამოვიდა სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობა — 298 ათლეტი. ტურნირის ერთ-ერთი მიზანი იყოს დაკომპლექტება სსრ კავშირის ნაკრებისა, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ევროპულ ფორუმში (ასპარეზობა ბელგიის ქალაქ ოსტენდეში გაიმართება 1973 წლის 10-12 მარტს).

ხალიჩაზე ჩვენი რესპუბლიკის 26 ძიუდოისტი გამოვიდა.

ჭაბუკთა ტურნირში საქართველოს ათლეტთა შორის 75 კგ წონითი კატეგორიის წარმომადგენლებმა გამოიჩინეს თავი: გ. დელიბაშვილი II ადგილზე გავიდა, ხოლო ი. სიდამონიძე — მესამეზე.

ახალგაზრდებს შორის თავი გამოიჩინეს ნ. ელიბაშვილმა (93 კგ, II ადგილი), დ. ხაბულიანმა (70 კგ, III), რ. ჭიკაიძემ (93 კგ, III) და თ. მერკვილაძემ (მძიმე, III).

დელიბაშვილი, სიდამონიძე და ელიბაშვილი „სპარტაკის" წარმომადგენლები არიან, ხაბულიანი და ჭიკაიძე — „ბურევესტნიკისა", ხოლო მერკვილაძე — „დინამოსი".

ზემოჩამოთვლილ სპორტსმენთა გარდა, სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს ჩვენი რესპუბლიკის კიდევ სამი წარმომადგენელი: ჯ. კბილაშვილი, ა. ზარკალაევი და ტ. ცინცაძე (ეს უკანასკნელი შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა).

# ლაურეატია ვალერი ბორზოვი

მოსკოვი, 20 დეკემბერი. სსრ კავშირის 1972 წლის საუკეთესო მძლეოსნად XX ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი გმირი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბორზოვი (კიევი) აღიარეს. ამ ბრწყინვალე მორბენალმა, რომელმაც საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველად მოიხვეჭა ორი ოლიმპიური ოქროს მედალი სპრინტში და ვერცხლისა — ესტაფეტაში, თანაც, 200 მეტრზე რბენაში ევროპის რეკორდი დაამყარა, ისევე როგორც შარშან, გაიმარჯვა ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკის" ტრადიციულ კონკურსში.

მეორე ლაურეატად დაასახელეს ოდესელი ნ. ავილოვი. მიუნხენში მისი ასპარეზობა მართლაც დიდებული იყო: ათჭიდის უმეტეს სახეობაში ავილოვმა პირადი რეკორდები დაამყარა, 37 ქულით გადააჭარბა მსოფლიო რეკორდს და 419 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ სპორტსმენს.

კონკურსის მონაწილეებმა მძლეოსან ქალთა შორის უპირატესობა კრასნოდარელ ლ. ბრაგინას მიანიჭეს. ამ შესანიშნავმა მორბენალმა წლეულს ოთხჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 1500-მეტრიან დისტანციაზე, ხოლო 3 ათას მეტრზე რბენაში მსოფლიოში პირველმა აჩვენა 9 წუთზე უკეთესი დრო — 8.53,0.

ათეულში შევიდნენ, აგრეთვე, ოლიმპიური ჩემპიონები ფ. მელნიკი, ნ. ჩიჟოვა, ა. ბონდარჩუკი, ვ. სანეევი, ი. ტარმაკი, ვ. სოლდატენკო და ლუსისი.

მეორე ტრადიციული კონკურსის — „სსრ კავშირის 1972 წლის საუკეთესო მწვრთნელი" — ლაურეატთა შორის არიან ვ. ალექსეევი, ვ. პეტროვსკი, ვ. კაცმანი, ი. სტეპანჩონოკი, ფ. კუდუ, მ. კრივონოსოვი და საბჭოთა ჩემპიონებისა და რეკორდსმენების სხვა აღმზრდელები.

## რამდენიმე სტრიქონით

### გორი

ჩატარდა რაიონის ნორჩ კალათბურთელთა ზონალური შეჯიბრებები. ატენის ზონაში ატენელმა მოსწავლეებმა იმარჯვეს, ქვახვრელშიც — ადგილობრივმა სპორტსმენებმა, შინდისში კი ხელთუბნელებმა.

**გ. მთვარელიძე,**
**სპორტსკოლის დირექტორი.**

### ზესტაფონი

თითქმის ორ თვეს მიმდინარეობდა რაიონის პიონერთა საჭადრაკო პირველობა: გოგონებს შორის ჩემპიონი გახდა ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე თინა ხუსკივაძე, ჭაბუკთა შორის — ამავე ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენელი გ. კამლაძე. გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ.

**ა. ბანუჩავა.**

# წვიმიანი ამინდის მიუხედავად

ბათუმში ჩატარდა საქალაქთაშორისო პირველობა მცირელიტრაჟიანი მანქანებით რბოლაში. შეჯიბრება საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის (2), ბათუმის, თელავის, ცხაკაიას, სოჭისა და ადლერის გუნდები. ასეთი შეჯიბრება ბათუმში პირველად გაიმართა და, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ლენინის მოედანზე, სადაც სტარტი და ფინიში მოეწყო, დიდძალმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

50 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მანქანებით რბოლაში უძლიერესი იყო თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელი რ. ვასაძე. 125 კბ სმ მანქანებით შეჯიბრებაში ჭაბუკთა შორის თბილისელმა რ. ხიდეშელმა იმარჯვა. II ადგილი ბათუმელმა ა. მანაკონოვმა დაიკავა, III — ცხაკაიელმა რ. ბრეგვაძემ.

ამ კუბატურის კარტინგებით ვაჟთა შორის პირველობა არავის დაუთმო თბილისელმა ლ. ღლონტმა. II ადგილზეა ბათუმელი ვ. ვასილიევი, III — ა. ხაილოვი (ადლერი).

175 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მანქანებით რბოლაში ყველას აჯობა საქართველოს 1972 წლის ჩემპიონმა, ბათუმელმა ვ. ვასილიევმა. II ადგილზეა ცხაკაიელი მ. თეთრუაშვილი, III — ბათუმელი ვ. კასიანოვი.

სსრ კავშირის ნაკრების წევრი, თბილისელი სპორტის ოსტატი რ. ბაკოფოვი მანქანის დაზიანების გამო შეჯიბრებას გამოეთიშა.

გუნდური I ადგილი დაიკავა ბათუმის ავტო-მოტოკლუბის ნაკრებმა. II ადგილზეა თბილისის პირველი გუნდი, III — თელავის ავტო-მოტოკლუბის კოლექტივი.

**ა. ჩანტლაძე.**

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ოქროს ოლიმპიელები

# უთვალავი კილომეტრი წყალზე

მდორედ მიედინება მდინარე, წყლის ზედაპირი სარკესავით ქრიალებს. ქვიშიან სანაპიროს ბავშვების ნაფეხურები ატყვია. იქვე გაწოლილა ფართო და ღრმა ზოლი. ეს ნავის ნაკვალევია. ტიტლიკანა ბიჭები მარდად უსვამენ ნიჩბებს. ირწევა ნავი, ნება-ნება ქანაობს და გაურკვეველი მიმართულებით მიაქანებს პატარა მგზავრებს. იქნებ მათ მდინარის მოპირდაპირე სანაპირო აინტერესებთ, იქნებ წყალზე გადმოხრილი ტირიფების ჩრდილს უნდა შეაფარონ თავი? ვინ იცის... ბავშვების თამაში, ლტოლვა, მისწრაფება უფროსებისთვის მეტწილად მაინც გაუგებარია. ჩვენ, უფროსებს აღარ გამოგვყავს სველ ქვიშაზე ბავშვური სურათები, წარწერები. და მაინც, შევიდებით ერთი ჭაბუკის ადრეული სიყმაწვილის მაგალითზე გავიხსენოთ უიმედოდ დაკარგული, მაგრამ მუდამ სანატრელი და ახლობელი ბავშვობის წლები.

ხშირად დაჰყვებოდა მამას სათევზაოდ. სულ პატარა იყო, როცა ვეღარ ერეოდა გარიჟრაჟის სუსხი. ადრე შეეჩვია წყალს, ნავებს, კატარღებს. საათობით უსმენდა გამოცდილ, მრავლისმომსწრე მეთევზეებს. დილის ბინდ-ბუნდში იკარგებოდა ნავი უკიდეგანო ზღვაში. პატარა ბიჭი კი იდგა ნაპირთან და საათობით, მოთმინებით ელოდა მამის დაბრუნებას. მამა ხან მხიარული გადმოდიოდა ნავიდან, ხანაც დაღვრემილი. ზღვა მუდამ როდია გულუხვი... მერე, როცა წამოიზარდა, მისი ჯერიც დადგა. ახლა ერთად გადიოდნენ ზღვაში, ერთად თევზაობდნენ, ერთად ინაწილებდნენ ჭირსა და ლხინს. ეს იყო მამისთვის ჩვეულებრივი საქმიანობა, ხოლო ბიჭისთვის, ვიქტორ კრატასიუკისთვის, ნამდვილი დღესასწაული. თანდათან ისე გათამამდა, რომ მამას ნიჩბებს აღარ ანებებდა. ბავშვური, სუსტი ხელებით შეეჩვია ნავის დამორჩილებას. ის თითქოს მისი სხეულის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ერთ მშვენიერ დღეს ბიჭმა ნაცნობ მღებავს ცისფერი საღებავი გამოართვა და გაუწაფავი ხელით უსწორმასწოროდ დააწერა ნავის ფერდს: „ფოთი". ის ფოთელი იყო, აქ დაიბადა, აქ გაიზარდა და ეს ქალაქი ყველაზე მეტად უყვარდა.

ფოთს, მოგეხსენებათ, მდინარეც ჩამოუდის. ნავები რიონზეც დასრიალებდნენ, ქვიშიან სანაპიროზე კი ბიჭების ფეხის ანაბეჭდები რჩებოდა. ამ ქვალს ვიქტორი და მისი პატარა თანატოლები ტოვებდნენ. ვიქტორ კრატასიუკი მამასთან ერთად მარტო ზღვაზე კი არ თევზაობდა, უზრუნველად ატარებდა დროს ტოლ-ბიჭებთან რიონის ნაპირზეც. ეს ნავები ზღვის ნავებს არ ჰგავდნენ. ზღვაზე საქმე ელოდა, აქ კი ერთობოდა. იქ ტალღებს ებრძოდა, აქ თანატოლებს ეჯიბრებოდა.

ერთი რამ კი კარგად იცოდა ვიქტორმა: არც ზღვაზე გაუშვებდნენ, არც მდინარეზე, თუ მისი სასკოლო დღიურის გადაფურცვლისას მამას შუბლი შეეჭმუხნებოდა.

სად იბადება ოლიმპიური ჩემპიონი? ჩვენი წერილის გმირი ჯერ სრულიად ახალგაზრდაა, წელიწლს შესრულდა ოცდაორისა. იქნება ამიტომაც გვიყვებოდა ასეთი გატაცებით ბავშვობასა და ყრმობაზე. და ჩვენ მივხვდით, რომ ოლიმპიური ჩემპიონიც დაბადებულა თავის ბავშვობაში, დედამიწის ზურგზე ყველაზე ლურჯი ზღვის ნაპირთან, ფაზისთან — ლეგენდარულ მდინარესთან. მერე მან ათასობით პატარა ფოთელის იმედი და ოცნება გაამართლა.

სად იბადება ოლიმპიური ჩემპიონი? იგი თავის სპორტულ ბიოგრაფიას იწყებს ზღვებსა და მდინარეებზე, არხებსა და წყალსაცავებზე, ტბებზე... იგი იბადება სიონის ტბაზე. სიონის ტბა, მთებით შემოჯარული ცისფერი თასი. ყველა სხვა სიკეთესთან ერთად იგი არის ნიჩბოსანთა ჭეშმარიტი სავანე: აქ ნიავი ისე ჰქრის, მზე ისე ანათებს, როგორც მათ სჭირდებათ. ირგვლივ მყუდროებაა გამეფებული და სიჩუმეში მკაფიოდ გაისმის ჩურჩულიც კი. ბაიდარა მისრიალებს ტბაზე, იგი ჰგავს წყლის სიღრმიდან ზედაპირზე ამოტივტივებულ გრძელ, ყავისფერფარფლებიან უშველებელ თევზს. მისი მოძრაობა ისეთივე სიმეტრიული, გამოზომილი და ბუნებრივიც კია, როგორც წყლის ბინადრისა.

ამ უშველებელ თევზივით ნავს, რომლის დამორჩილების ხელოვნებასაც თავის პარტნიორთან და მწვრთნელთან ავერი მატკავასთან ერთად აგერ უკვე შვიდი წელია ეუფლება ვიქტორ კრატასიუკი, ორადგილიანი ბაიდარა ჰქვია. ვიქტორ კრატასიუკის ბაიდარა შვიდ წელიწადში ყველაზე სწრაფი, ყველაზე დაუდგრომელი და ფრთაშესხმული გახდა დედამიწის ზურგზე. ყველაფერი კი ისე უბრალოდ, ჩვეულებრივად დაიწყო.

— ფოთში, რიონის ნაპირზე, მწვრთნელს არ გაუჭირდება ფეხბურთელებისა და ნიჩბოსნების ამორჩევა ძალ-ღონით სავსე, მკვირცხლ, დაუდეგარ და მზისგან გარუჯულ ბიჭებში. ბევრი მათგანი თითქოს დიდი სპორტისთვის არის დაბადებული. ვიქტორი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი აღმოჩნდა მათ შორის. როცა ჩვენთან, წყალჯომარდობის სადგურში მოვიდა, თექვსმეტი წლისა იყო. თავიდანვე თვალში მომივიდა — ასაკის კვალობაზე მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, ერთიანად დაძარღვული — უცებ შევნიშნავდით, შავიზღვისპირული, და რიონის „სკოლა" ჰქონდა გავლილი. რაც მთავარია, დამოუკიდებელი აზროვნების უნარს იჩენდა. იცოდა, რაც უნდოდა. რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ მივხვდი, ბიჭი ზოგიერთივით გასართობად არ იყო მოსული და დროთა განმავლობაში ურიგო ნიჩბოსანი არ უნდა დამდგარიყო. მერე და მერე ეს აზრი უფრო განმიმტკიცდა. ვიქტორი თანატოლებზე მეტს ვარჯიშობდა, არც დრო ენანებოდა, არც ძალ-ღონე. ასე რომ, ხშირად მიხდებოდა „შემეზღუდა". ამბობენ: ნიჭი, უნარი ჩალის ფასად არ ღირს, თუ შრომა-გარჯით არ არის განმტკიცებულიო. ვიქტორს

## ნარკვევი

ასეთი შეგონებები არასდროს დასჭირვებია. ვერ წარმოიდგენთ, მწვრთნელს რარიგ უადვილდება მუშაობა შრომისმოყვარე, მიზანსწრაფულ მოწაფესთან. ვიქტორის ბაიდარა მუდამ ყველაზე კარგად იყო მოვლილი. როგორც უკვე გითხარით, ვარჯიში არ ეზარებოდა, ნიჭი და მონაცემები კი უხვად ჰქონდა მომადლებული. ამიტომ არ გასჭირვებია მაღალი შედეგების ჩვენება. ვარჯიშის დაწყებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ ვიქტორი დამაჯერებლად იმარჯვებს საქართველოს მოსწავლეთა პირველობაში ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში. მომდევნო წლებში იგი წარმატებას აღწევს რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. 1970 წელს ვიქტორმა „უღალატა პროფესიას": ჩვენ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ ორადგილიანი ბაიდარისთვის მოგვეკიდა ხელი.

მწვრთნელისა და მოწაფის არჩევანი სწორი აღმოჩნდა. სწორედ ორადგილიანი ბაიდარებით ნიჩბოსნობაში მოიპოვა ნიჭიერმა ჭაბუკმა საერთო აღიარება. სწორედ ნიჩბოსნობის ამ სახეობამ მოუტანა ორი წლის შემდეგ მიუნჰენის ოლიმპიური ჩემპიონის წოდება.

— ჩემი „ნაცნობობა" ბაიდარასთან დაიწყო... კურიოზით. პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ნიჩბოსნობაში. ახალბედა სპორტსმენისთვის მწვრთნელის შექებაზე ძვირფასი რა უნდა იყოს. ჰოდა, მეც, ცოტა არ იყოს, გავთამამდი. ერთხელაც ბაიდარა შევაცურე რიონში. ვგრძნობდი, მწვრთნელი ნაპირიდან თვალს არ მაცილებდა. ამიტომ „აკრძალული" სიჩქარე ჩავრთე. ბაიდარამ მიხამა, თუ თავად ვერ მოვახერხე ბალანსირება, უცებ წყალში არ აღმოვჩნდი! ერთი სიტყვით, გვარიანად ვყლაპე რიონის წყალი. ზამთარი იყო, აკანკალებული ძლივს გამოვედი ნაპირზე. აი, მაშინ პირველად მივხვდი, რომ წყლის სტიქიასთან და ბაიდარასთან ხუმრობა არ შეიძლება.

ორადგილიანი ბაიდარა ჩემთვის იღბლიანი აღმოჩნდა. ეტყობა, მიდრეკილება მქონდა, თუ შეიძლება ითქვას, „კოლექტიური" ნიჩბოსნობისკენ. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, ბაიდარაში ჩემთან ერთად იჯდა კაცი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემდი და რომელმაც ყველაფერი მასწავლა, რაც შეეძლო. ეს კაცი ავერი მატკავა გახლავთ.

ავერი მატკავა — ვიქტორ კრატასიუკი. მწვრთნელისა და მოწაფის დუეტი. თავისთავად ეს ფაქტი ერთობ საგულისხმოა. ჩვენი სპორტის ისტორიას იშვიათად ახსოვს ასეთი ორიგინალური შემადგენლობის და ასე შეხმატკბილებული წყვილი. იოლი არ არის მასწავლებლისა და მოწაფისთვის ერთობლივი ჭაპანის გაწევა. მასწავლებელი მუდამ ურყევი ავტორიტეტია მოწაფის თვალში და ეს ბევრს ავალებს. არანაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობს მოწაფე. ბაიდარას მიაქროლებს დიდი ძალა, გამოცდილება და სიჭაბუკე. ბაიდარას მართავს ორი სხვადასხვა თაობის სპორტსმენი. ისინი დაჰქრიან ქარსა და წვიმაში, მდინარეებსა და არხებზე, წყალსაცავებსა და ტბებზე. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის წინ მარტო სიონის წყალსაცავზე მათ თითქმის ექვსი თვე გაატარეს. ეს იყო დაძაბული, არაქათგამომცლელი ვარჯიშების სერია, ეს იყო უთვალავი კილომეტრი წყალზე. ეს იყო იმედებისა და ეჭვების დრო გაზავებული ვარდისფერ ოცნებებთან. ამ ოცნების უფლება კი დიახაც ჰქონდათ ვარჯიშითა და შრომით დაღლილ მასწავლებელსა და მოწაფეს.

მათ დაიმსახურეს სპარტაკიადის ოქროს მედლები. და როცა მოსკოვის მახლობლად, სერებრიანი ბორის წყალსაცავზე, დაკოჟრილ ხელებში ეჭირათ ნანატრი ჯილდო, უკვე მიუნჰენის ოლიმპიადაზე ფიქრობდნენ. სპარტაკიადამ მათ არგუნა არა მარტო ჩემპიონობა, არამედ შთაბერა დიდი რწმენა და იმედი.

— სპარტაკიადის შემდეგ ჩვენი დუეტი დაიშალა: ტრავმის გამო აღარ შემეძლო პარტნიორობა გამეწია ვიქტორისთვის. მაშინ განსაკუთრებით ვიგრძენი, რა ძნელია მწვრთნელისთვის ნაპირზე ყოფნა. თუმცა, ვიქტორი ისე გამოიწრთო შეჯიბრებებში, რომ ზედამხედველობა აღარც სჭირდებოდა. სხვა საკითხია, როგორ თანამეწყვილეს შეურჩევდნენ ნაკრების მწვრთნელები მიუნჰენის ოლიმპიადის წინ. და აი, ერთ მშვენიერ დღეს კანდიდატიც მოიძებნა — ეს იყო ბელორუსიელი ნიკოლოზ გორბაჩოვი, გამოცდილი, ენერგიული, შრომისმოყვარე ახალგაზრდა ნიჩბოსანი. ვიქტორი და ნიკოლოზი იცნობდნენ ერთმანეთს, მეგობრობდნენ, ბევრი საერთო ინტერესი აღმოაჩნდათ. ამიტომ არ გასჭირვებიათ საერთო ენის გამონახვა. ცოტა ხნის ერთობლივი ვარჯიშის შემდეგ მათი ბაიდარა საუკეთესო იყო. ეს დაადასტურა წინაოლიმპიურმა შეჯიბრებებმა — საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებამ და ჩემპიონატმა, დანიაში გამართულმა დიდმა საერთაშორისო შეჯიბრებამ... მიუნჰენში მხოლოდ ბრმა შემთხვევას შეეძლო დაეჩაგრა ეს უძლიერესი წყვილი. სხვა მხრივ გული საგულეს მქონდა: ცუდად ნუ გამიგებთ, ასეთი დუეტი ჯერაც არ მინახავს.

ოლიმპიადამ გაამართლა მწვრთნელის ვარაუდი.

— რა შემიძლია ვთქვა მიუნჰენის თამაშებზე... მართალი გითხრათ, უფრო ძლიერ მეტოქეობას ველოდით. სინამდვილეში ამოცანა შედარებით იოლად დავძლიეთ. ოლიმპიადის ფინალურ შეჯიბრებაში 37 წამით მოვუგეთ უახლოეს მეტოქეს — უნგრელ სპორტსმენებს ოჟეფ დემეს და იანოშ რატკაის. ვღელავდით? რა თქმა უნდა. თუმცა დარწმუნებული ვიყავით გამარჯვებაში. აი, ასე დამთავრდა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საპასუხისმგებლო ასპარეზობა... გორბაჩოვი კი მართლაც ჩინებული ბიჭი ყოფილა.

ჩემი ოლიმპიური ოქროს მედალი მწვრთნელსაც ეკუთვნის. გულწრფელად შემიძლია ვთქვა: ვერასოდეს გავივლიდი გზას ფოთიდან მიუნჰენის ოლიმპიადამდე, ავერი მატკავა რომ არა. მან ბევრი იცის, უფრო მეტს გრძნობს, გულკეთილია, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. ჩემთვის მწვრთნელი მუდამ სამაგალითო იყო. თორმეტ წელიწადს გამოდიოდა საბჭოთა ნაკრებში, მე თვითონ მინახავს, როგორ იმარჯვებდა შეჯიბრებებში. ეს იყო საუკეთესო სკოლა არა მარტო სპორტული თვალსაზრისით.

რა სწრაფად გარბის დრო. განა რამდენი ხანი გავიდა, რაც ვიქტორი სათევზაო ნავს ცისფერი საღებავით უსწორმასწორო ასოებით აწერდა თავისი მშობლიური ქალაქის სახელს. უკან დარჩა ფეხის ანაბეჭდები რიონის ქვიშიან ნაპირზე... მერე მისი ბაიდარა შეცურდა რიონში, სიონის წყალსაცავში, სერებრიანი ბორში... ფიოედმოჰინგში 22 წლის ფოთელი ჭაბუკი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი მთელმა მსოფლიომ გაიცნო. ამ გზის გავლას შვიდი წელი დასჭირდა.

ა. გოგელია.

• • •



სურათზე: ა. მატკავა (წინ) და ვ. კრატასიუკი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

---

სსრ კავშირის პირველობა



უმაღლესი ლიგა

## ცვლილება კალენდარში

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით, თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შეხვედრა, რომელიც თბილისში 24 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო, გაიმართება შაბათს, 23 დეკემბერს, სპორტის სასახლეში. დუბლიორთა მატჩი დაიწყება 12 საათსა და 30 წუთზე, ძირითადი შემადგენლობებისა — 14 საათზე.

---

„ა" კლ. I ჯგუფი

## ოთხ წამში წაგებული მატჩი

კრასნოდარი (ტელეფონით). აქ გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი ტურის ორი მატჩი ადგილობრივ „ტრუდსა" და თბილისის „ბურევესტნიკს" შორის.

პირველ შეხვედრაში სტუმრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ისინი თითქმის მთელი ბრძოლის მანძილზე ფლობდნენ ინიციატივას. განსაკუთრებით ეფექტურად ითამაშეს მაღალაშვილმა, იაქაშვილმა და მაღალთაძემ. 28 წუთისთვის „ბურევესტნიკი" 14 ქულით იგებდა შეხვედრას — 54 : 40.

ძერე კი საწყაული მოხდა. კრასნოდარელებმა პრესინგს მიმართეს და დაიწყო თბილისელთა დაცვის რიგების რღვევა. „ბურევესტნიკის" რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ 5 პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დატოვა და მალე სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა — 65 : 64.

ბრძოლის დამთავრებას ოციოდე წამი აკლდა, როცა კრასნოდარელებმა გაათანაბრეს ანგარიში — 70:70. სიჩქარეში „ბურევესტნიკის" კალათბურთელებმა დაკარგეს ბურთი და მსაჯის საფინალო სასტვენამდე 4 წამით ადრე კრასნოდარელმა მარკადევევმა გადამწყვეტი ბურთი მოათავსა მეტოქის კალათში. 72 : 70 — გაიმარჯვა „ტრუდმა".

ამ მოულოდნელმა მარცხმა უსიამოვნო დაღი დაასვა თბილისელთა თამაშს მეორე დღეს. განმეორებით შეხვედრაში ბრძოლა ფაქტიურად არც ყოფილა: მე-8 წუთზე მასპინძლები წინ იყვნენ 12 ქულით (20:8), 25-ე წუთზე კი ისინი უკვე 20 ქულით დაწინაურდნენ (57 : 37). „ტრუდმა" ამ დღეს იოლად გაიმარჯვა — 93 : 69.

---

## დაწინაურდა კოზლოვსკაია

მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გუშინწინ შედგა სამთა ოთხრიანი მატჩ-ტურნირის II ტური ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის ორი საგზურისთვის. ერთმანეთს შეხვდნენ ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინა (ლენინგრადი).

მეტოქეებმა ფერზის დაწყების ერთ-ერთი ვარიანტი გაითამაშეს. ბრძოლის მე-5 საათზე მწვავე პოზიცია შეიქმნა. კოზლოვსკაიამ ხარისხის ლამაზი შეწირვით გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა და 35-ე სვლაზე ლევიტინამ დანებების ნიშნად საათი გააჩერა.

ორი ტურის შემდეგ დაწინაურდა კოზლოვსკაია — 1,5 ქულა. ლევიტინასა და ნ. კონოპლიოვას (მოსკოვი) 0,5-0,5 ქულა აქვთ, ოღონდ მოსკოველ მოჭადრაკეს ერთი პარტიიდან.

---

## ფინალისტები

თბილისში, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში, დამთავრდა დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა 1973 წლის პირველობის ნახევარფინალი.

ფინალში ითამაშებენ (ერთნაირი ქულების მქონე მოჭადრაკეთა ადგილები კოეფიციენტთა ცხრილით გაირკვა): I. ე. მიქაელიანი, II. გ. ზაიჩიკი — 8,5-8,5 ქულა, III. კ. ჩიგოვიძე, IV-V. ს. კიკილაშვილი, დ. გურგენიძე, VI-VII. ე. აფრიდონიძე, ე. კუშჩიანი, VIII. ნ. ჩახოიანი, IX-X. გ. მაჭარაშვილი, ვ. ვეფხვიშვილი — 8-8 ქულა.

აღსანიშნავია ცნობილი ახალგაზრდა ეტიუდისტის გურგენიძისა და აფრიდონიძის წარმატება: მათ ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულეს.

ნახევარფინალში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ ქალები. კარგად ითამაშეს საქართველოს ჩემპიონმა, ოსტატმა თ. ხუგაშვილმა, მ. დათაშვილმა (6,5-6,5 ქულა) და 11 წლის მაია ჩიბურდანიძემ (5,5 ქულა).

სამწუხაროდ, ერთი უსიამოვნო ფაქტიც მოხდა: მსაჯთა კოლეგია იძულებული შეიქნა ტურნირიდან გაერიცხა ოსტატობის კანდიდატი რ. კაპანაძე, რომელიც შეზარხოშებული გამოცხადდა სათამაშოდ და წესრიგი დაარღვია. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა მოჭადრაკემ (მ. ხუხუნი, რ. თოდრია, ლ. გელიაშვილი, ი. რუდინი, ი. დეგტიარიოვი და ბ. მელიქიანი) ტურნირი თვითნებურად მიატოვა. საჭიროა თბილისის ჭადრაკის ფედერაციამ იმსჯელოს მათ საქციელზე.

გ. ფამილიანცი,
ნახევარფინალის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.





მზის ბილიკით.

შ. ჯაბელაშვილის ფოტოეტიუდი.

## [illegible]-72

● ორჯონიკიძე, 19 დეკემბერი. ჩრდილოეთ ოსეთის 50 მთამსვლელმა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში განახორციელა ასვლა ყაზბეგზე. მთამსვლელებმა მწვერვალზე დადგეს ლენინის ბიუსტი, საბჭოთა სახელმწიფოს გერბი და ვიმპელი წარწერით: „სსრ კავშირის 50 წელი".

● ტორონტო, 20 დეკემბერი. ადგილობრივ „მეიპლ ლიფს გარდენის" სტადიონზე სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა თავისი კანადური ტურნეს კიდევ ერთი მატჩი ჩაატარა, ამჯერად „ტორონტო მარლბოროსს" შეხვდა. მასპინძელთა გუნდი სხვა კლუბების მოთამაშეებით იყო გაძლიერებული. გაიმარჯვა სსრ კავშირის კოლექტივმა — 8:6 (0:2, 4:0, 4:4). მასპინძელთა კარში შაიბები გაიტანეს კაპუსტინმა (3), მარტინიუკმა, დევიატოვმა (2-2) და ტიტოვმა. კანადაში ჩატარებული რვა თამაშიდან საბჭოთა ჰოკეისტებმა ექვსი მოიგეს, ერთი წააგეს და ერთიც ფრედ დაამთავრეს. შაიბების საერთო ანგარიშია 42:26 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

● მოსკოვი, 20 დეკემბერი. გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე ჰოკეისტთა აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში დღეს პირველი გამარჯვება იზეიმა მსოფლიო ჩემპიონმა — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა. მან ანგარიშით 3:0 (0:0, 1:0, 2:0) დაამარცხა პოლონეთის ეროვნული გუნდი. შაიბები გაიტანეს ნედომანსკიმ, ფარდამ და უ. ნოვაკმა. აი, სატურნირო ცხრილი ექვსი მატჩის შემდეგ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 0 | 4 | 10—4 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 1 | 0 | 3 | 6—2 |
| შვეცია | 2 | 1 | 1 | 0 | 3 | 5—3 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 7—16 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 3—11 |

## მორიგ ტურნირში ჩაებნენ

სამხრეთ ავსტრალიის შტატის ღია ჩემპიონატის შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთელები ჩაებნენ ტასმანიის ღია პირველობაში, რომელიც ქალაქ ხობარტში მიმდინარეობს. ბაქოელმა ე. ბირიუკოვამ, თბილისელებმა ა. მეტრეველმა და თ. კაკულიამ ამ ტურნირის პირველი ეტაპი მშვიდობიანად გაიარეს: ერთეულთა თანრიგში სამივემ გამარჯვება მოიპოვა.

ჩოგბურთი

## ზოგიერთი „რეკორდი"

მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელებს ეკუთვნით რეკორდი, რომელიც ჯერ არავის გაუმეორებია: მათ 1938-39 წლებში ზედიზედ ორჯერ შეძლეს „დუბლის" მოპოვება, ესე იგი ჩემპიონებიც გახდნენ და თასის მფლობელებიც.

ასევე მოუხსნელია ცსკა-ს რეკორდი. ეს გუნდი 6 წლის მანძილზე ხუთჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, აქედან სამჯერ — ზედიზედ.

ლენინგრადის „ზენიტი" პირველი გუნდია, რომელმაც მოსკოვიდან წაიღო სსრ კავშირის თასი, ხოლო კიევის „დინამო" — გუნდი, რომელმაც წაიღო ჩემპიონობა.

დონის როსტოვის ასკ ერთადერთია, რომელმაც 2 წლის მანძილზე გაიარა გზა ქალაქის ჩემპიონიდან საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდამდე.

ლვოვის „კარპატი" დაბალი ლიგის ერთადერთი წარმომადგენელია, რომელმაც სსრ კავშირის თასის მოპოვება შეძლო.

კიშინიოვის „მოლდოვა" ერთადერთია, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის მატჩს აგებდა ანგარიშით 0:4 და იხსნა ქულა. ეს მოხდა 1957 წელს მოსკოვის „სპარტაკთან" შეხვედრაში.

1952 წლიდან მოყოლებული, თბილისის დინამოელებს კიევში თამაში არ მოუგიათ.

1972 წელს მოსკოვის გუნდები საკავშირო ჩემპიონატის საპრიზო ადგილების მიღმა დარჩნენ. ეს მესამე შემთხვევაა 34 ჩემპიონატის მანძილზე.

8 წლის განმავლობაში კიევის „დინამოს" არ წაუგია მატჩი 3 ბურთის სხვაობით. წლეულს, 4 აპრილს, ეს ტრადიცია დაირღვა: „ზარია" — „დინამო" (კიევი) 3:0.

გ. ხულაშვილი.

## პირველობაზე და თასის გათამაშებებში

თბილისის დინამოელებმა საკავშირო ჩემპიონატებში ჩატარებულ 886 მატჩში სულ 1500 გოლი გაიტანეს, აქედან 924 საკუთარ მინდორზე, ხოლო 576 — სტუმრად.

წლების მიხედვით ეს ციფრი ასე ნაწილდება: 1936 წელს — 14 ბურთი (7 მატჩში), 1937 — 30 (16), 1938 — 54 (25), 1939 — 60 (26), 1940 — 56 (24), 1945 — 37 (22), 1946 — 47 (22), 1947 — 57 (24), 1948 — 54 (26), 1949 — 62 (34), 1950 — 78 (36), 1951 — 59 (28), 1952 — 19 (13), 1953 — 39 (20), 1954 — 38 (24), 1955 — 25 (22), 1956 — 42 (22), 1957 — 27 (22), 1958 — 34 (22), 1959 — 48 (22), 1960 — 67 (30), 1961 — 50 (30), 1962 — 46 (32), 1963 — 56 (38), 1964 — 52 (33), 1965 — 37 (32), 1966 — 47 (36), 1967 — 53 (36), 1968 — 53 (38), 1969 — 42 (32), 1970 — 43 (32), 1971 — 33 (30), 1972 — 41 (30).

თბილისის „დინამომ" სსრ კავშირის თასზე სულ 101 შეხვედრა ჩაატარა. აქედან მოიგო 57, ფრედ დაამთავრა 13, წააგო 31, გაიტანა 219 ბურთი, საკუთარ კარში მიიღო 134.

ს. ძარუმიძე.

## თბილისელთა მწვრთნელები

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივს თავისი არსებობის მანძილზე ბევრი წარმატებისთვის მიუღწევია. იგი იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, ამას გარდა, 14-ჯერ გავიდა საპრიზო სამეულში, 5-ჯერ თასის ფინალში, მოიპოვა „ინძელას" თასი და დიდი ფეხბურთის სხვადასხვა პრიზი.

1936 წლიდან დღემდე დინამოელებს სხვადასხვა დროს 15 უფროსი მწვრთნელი ჰყოლიათ.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, თბილისის „დინამო" პირველ სამეულში ყველაზე მეტჯერ გავიდა ა. ჟორდანიას და გ. კაჩალინის დროს — 3-3-ჯერ.

ყველაზე მეტჯერ თბილისის „დინამო" სსრ კავშირის თასის ფინალში გავიდა ა. ჟორდანიასა და ა. სოკოლოვის დროს — 2-2-ჯერ.

გ. ჩოხელის ხელმძღვანელობით ჩვენი გუნდი ერთხელ გავიდა სსრ კავშირის თასის ფინალში და, ამას გარდა, მოიგო „ინძელას" თასი.

ა. ჟორდანია დინამოელებს სათავეში ედგა 7 სეზონის, ა. სოკოლოვი — 6, მ. იაკუშინი — 5, გ. კაჩალინი — 4 სეზონის განმავლობაში.

მ. სადილიანი.

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

ფეხბურთი

## შეამოწმეთ ბილეთები!

20 დეკემბერს გორკში მოეწყო „სპორტლოტოს" მორიგი, 35-ე ტირაჟი.

შეამოწმეთ ბილეთები — ამჯერად მოგება ხვდათ შემდეგ ნომრებს: 1 (ავიასპორტი), 3 (აკრობატიკა), 10 (საბუერო სპორტი), 32 (წყალში ხტომა), 47 (ბურთიანი ჰოკეი), 49 (შაში).

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გასულ, 34-ე ტირაჟში, ჩვენი რესპუბლიკიდან ხუთმა კაცმა ამოიცნო 5-5 სახეობა. მათგან სამმა ერთთვიანი ბილეთებით მოიგო.

30 დეკემბერს მოსკოვში მოეწყობა წლევანდელი წლის ბოლო, 36-ე ტირაჟი.

ი. ლოპატკინი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

## თოვლიან ბილიკებზე

### გროსს სივიწროვე არ მოეწონა

მსოფლიო თასისთვის მებრძოლმა სამთომოთხილამურე ვაჟებმა საფრანგეთიდან იტალიის მთებში გადაინაცვლეს და ვალ-გარდენის ტრასაზე სწრაფდაშვებაში იასპარეზეს. სპორტსმენებს 3750-მეტრიან ტრასაზე პირველი დღე დისტანციის გასაცნობად დაეთმოთ. საცდელი დაშვება შვეიცარიელმა რ. კოლომბენმა მოიგო (2.07,73), მაგრამ მთავარი მეორე დღის ბრძოლის შედეგები იყო.

კოლომბენი ვალში არც აქ დარჩა. მან დისტანცია უფრო მარჯვედ გაიარა (2.05,67), თასის გათამაშებაში პირველი გამარჯვება მოიპოვა და დაეწია ლიდერებს — 19 წლის იტალიელ პ. გროსსა და უფრო გამოცდილ ავსტრიელ რ. ტრიჩერს, რომლებსაც წინა ტურნირებში გამარჯვებით 25-25 ქულა ჰქონდათ.

მართალია, ტრიჩერი ამჯერად სამეულში ვერ მოხვდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ტონი ზაილერის სხვა აღსაზრდელებმა ისახელეს თავი: ტრიჩერის თანაგუნდელებმა ქ. კორდინმა (2.06,13) და დ. ცვილინგმა (2.06,15) II და III ადგილები დაიკავეს.

მაგრამ, როგორც ჩანს, გროსს ლიდერებში ეს სივიწროვე არ მოეწონა და მადონა დი კამპილიოს ფერდობებზე სპეციალურ სლალომში პირველივე ცდაზე გაბედულად დაეშვა. როცა ცდა ყველამ ჩაათავა, გროსს მეოთხე შედეგი აღმოაჩნდა, ამიტომაც მეორე ცდაზე და დახვეულ დისტანციაზე რისკს არ მოერიდა, მეტად დიდი სისწრაფით ჩაიქროლა და საბოლოოდ I ადგილიც დაისაკუთრა. გროსი მსოფლიო თასის გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

მადონა დი კამპილიოს ტრასაზე II ადგილზე გავიდა თასის ორგზის მფლობელი გ. ტონი (იტალია), III — ჟ. ნოირთიტერი (გფრ).

### ბრუგმანი გუნდს დაუბრუნდა

ავსტრიის სათხილამურო სპორტის ფედერაციამ დაამტკიცა სამთოსათხილამურო სპორტში ქვეყნის ნაკრების შემადგენლობა. ვაჟთა კოლექტივში 6 ახალი წევრია, რომლებმაც შეცვალეს ვეტერანები ჟ.-დ. დეტვილერი, მ. შნიდერი, ე. ფრაი და სხვ., ვარსკვლავებიდან ნაკრებს განკურნების შემდეგ დაუბრუნდნენ ვ. მოტლე და ე. ბრუგმანი.

ნაკრების ახლანდელი შემადგენლობა ასეთია: ვაჟები — ე. ბრუგმანი, რ. ბერტოდი, რ. კოლომბენი, ე. ფლიოტრი, ჰ. ჰემი, მ. იაკობერი, ვ. მოტლე, ი. ოდერმატი, ა. რიოსტი, მ. რიუსი, ა. შპრეჰერი, ვ. ტრეში, ჰ. ცინგრე (გუნდში ყველაზე უფროსია 29 წლის ბრუგმანი, ყველაზე ახალგაზრდები — 20 წლის ფლიოტრი და ოდერმატი); ქალები — რ. გუდი, მ. ჰეფტი, მ. ნადიგი, მ. მორეროდი, ს. შუმპი და მ. ცუბრიგენი. ქალთა გუნდი უფრო ახალგაზრდულია. მათ შორის ყველაზე უფროსია 21 წლის გუდი, ყველაზე უმცროსები — 16 წლის ცუბრიგენი და მორეროდი.

მსოფლიო ფეხბურთის ამბები

### ბენქსი — № 1

გაზეთმა „დეილი ექსპრესმა" (ლონდონი) მოაწყო ჟურნალისტთა ტრადიციული გამოკითხვა. მათ უნდა დაესახელებინათ ინგლისის 1972 წლის № 1 ფეხბურთელი.

ხმების უმრავლესობით საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ინგლისის ნაკრების მეკარე, 34 წლის გ. ბენქსი.

● ●

### ალბერტიც და კიუც

ბუდაპეშტში გამოცხადდა, რომ დისციპლინის სისტემატური დარღვევის გამო „ფერენცვაროშის" ხელმძღვანელობამ განუსაზღვრელი დროით დისკვალიფიკაცია მისცა ეროვნული ნაკრების ყოფილ კაპიტანს ალბერტს და ნაკრების ახალგაზრდა მოთამაშე კიუს.

უნდა აღინიშნოს, რომ 31 წლის ალბერტი თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე მანამდე არასოდეს ყოფილა დისკვალიფიცირებული.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

შე 10341